



**ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს პრეზიდენტსა და
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის**

ერთი მხრივ, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და, მეორე მხრივ, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდეგში - უნივერსიტეტი), წარმოდგენილი მისი რექტორის, თეონა ხუფენიას სახით, აღიარებენ და ეფუძნებიან რა საქართველოს სახელმწიფოს მიმართ თითოეული მათგანის დანიშნულებას, ეყრდნობიან ურთიერთპატივისცემის უცვლელ რწმენას და თანხმდებიან თანამშრომლობის შემდეგ პირობებზე:

1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ისეთი ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც მიმართული იქნება უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლების, ახალი თაობების სრულფასოვანი აღზრდის ხელშეწყობისა და მათი წახალისების, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და სახელმწიფოებრივი ღირებულებების განმტკიცებისაკენ.

2. მემორანდუმის ამოცანები

ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, ერთობლივად განახორციელონ:

- ა) სასტიპენდიო პროგრამები;
- ბ) მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები;
- გ) სხვა ღონისძიებები ზემოჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად.

3. დასკვნითი დებულებები

ა) მემორანდუმის საფუძველზე ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და უნივერსიტეტს შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა ან გაუქმება მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;

გ) თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის, იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე;

დ) მხარეები ოფიციალური კომუნიკაციისათვის იყენებენ შემდეგ მისამართებს: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია - საქართველო, ქ. თბილისი 0103, მალხაზ აბდუშელიშვილის ქ. №1, ტელეფონი: +995 322 282736; ვებგვერდი - www.president.gov.ge; ელექტრონული ფოსტა - mail@president.gov.ge; სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - საქართველო, ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ.14, ტელეფონი: +995 415 256217, +995 577 419041, ვებგვერდი - <http://www.zssu.ge>; ელექტრონული ფოსტა - zssuedu@gmail.com;


ე) წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად;

ვ) მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით მხარეთა მიერ მის გაუქმებამდე;

ზ) მხარეები უფლებამოსილი არიან წერილობითი ურთიერთშეთანხმებით გააუქმონ მემორანდუმი.


მხარეთა ხელმოწერები

საქართველოს პრეზიდენტი



გიორგი მარგველაშვილი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი



თეონა ხუფენია

„30“ 08 2016 წ.